„Иверія“ (ежедневно)
КУТАИСЪ
99 2-й Гильд. Купц. Захарію Гав. ПУРЦХВАНИДЗЕ

1877--1895

№ 17
სამშაბათი, 24 იანვარი 1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 17
სამშაბათი, 24 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, №
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნიკოლოოზ მიხეილის ძე სარაჯევი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მეუღლის **ეკატერინე დავითის ასულისა** გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს, ამა იანვრის 26, დილის 10 საათზედ, კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში.

(2—849—1)

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა
**გამოფენის**
უკანასკნელი კვირა.
ჩვენის დროისათვის ორი უდიდესი საკვირველება

1) **ქონდრის კაცები**
ყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ
**მარკიზ ფოლგე**, შობილგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.
**მარკიზა ლუიზა**, შობილგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.
2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოელნი



ტუუპნი-დანი
**რადიკა და დოოდიკა**
ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა
გამოფენა დაიკეტება სამშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 10 საათზედ.



გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის. ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარს ფასს.

(20—6.—16)

ტფილისი, 24 იანვარი.

—

„ივერიის“ მე 8 ნომერში, მე გამოვსთქვი აზრი შესახებ ნაფიცთა მსა-
მისს გარშემო მთის კალთაზე—
ჯულების შემოღებისა ჩვენში. მე ვამბობდი, რომ ნაფიცთა მსაჯულების შემოღება სასურველია, რადგანაც იგი უკეთესად შეაძლებინებს სასამართლოს თავისს დანიშნულების ასრულებას და ამ აზრს ვასაბუთებდი იმით, რომ ნაფიცთა მსაჯულების შემოღებას შედეგად მოსდევს: 1) სასასამართლოს შეთანხმება საზოგადოების აზრთან, და 2) მსაჯულთა პირუთვნელობა.

გაზეთ „კავკაზში“ ბ-მა ნ. ტ. მიპასუხა და, სცდილობს ჩემი აზრი დაარღვიოს. მაგრამ დიდად საეჭვოა, რომ ბ-ნ ნ. ტ—ს ვინმე დააჯეროს თავისის ნაძალევის არგუმენტაციით—წყალი ალმა მიდისო.

ვიწყებ იმით, რომ ბ-ნ ნ. ტ—ს გაუთავებელი ბაასი ანიდან—ჰოემდე, ერთიანი შეცდომაა და ამ შეცდომას ის ვერ გაეყრება ვერაფრით, ვიდრე თავის ბაასის ხერხს არ მიატოვებს: აზრი ფაქტებიდან უნდა გამოიყვანოს ხოლმე კაცმა და არა აზრი წინადაიდოს და მის დასამტკიცებლად ფაქტების ძებნას მიჰყოს ხელი. ბ. ნ. ტ—ს აქსიომად აუღია: „ჩვენთვის ნაფიცთა მსაჯულების შემოღება არ არის საჭიროო“ და ამის მოწინაამდეგე აზრს თავდაუზოგველად ებრძვის.

როგორც რომელისამე აზრით გატაცებული კაცი, ბ. ნ. ტ. სხვის აზრს ხეირიანად არ უკვირდება და აბა რა გასაკვირველია, თუ ეს მებრძოლი ამბობს: „გმელიშვილს ნაფიცთა მსაჯულების კარგ მხარეთ ის უცვნია, რომ ეს მსაჯული დამნაშავეს გაამართლებს ხოლმეო“. (sic!).

ცხადია, ბ. ნ. ტ. ჩემს აზრს საკმარისად რომ დაჰკვირებოდა, სხვას ამოიკითავდა. მე ვამბობდი—რომ „ნაფიცთა მსაჯულებს მისდობილი აქვთ სასჯულიდან გაათავისუფლონ კაცი მაშინ, როცა კანონის ძალით ის დასასჯელად არის ცნობილი, თუმცა თანამედროვე საზოგადოების შეხედულობა მის საქციელს დანაშაულად აღარა სცნობს“.

პეტრე დიდის დროს კანონის ძალით დაისჯებოდა ხოლმე ყოველი ის რუსი, ვინც ძველებურად თმას და წვერს მოუშვებდა. წარმოიდგინეთ, რომ ეს კანონი აქამომდე არ გაუქმებულიყო; მაშინ თვით ბ-ნი ნ. ტ—ც სამართალში მიეცემოდა, თუ რომ ბ-ნი ნ. ტ. წვერს ატარებს. აი ამ დროს ახლანდელ შეხედულობის გამომთქმელ ნაფიცთა მსაჯულებს შეეძლოთ ეთქვათ: ახლა საზოგადოებამ წვერის მოშვების შესახებ აზრი იცვალაო და ნუ დასჯით ბ-ნს ნ. ტ—საო.

თვით ბ-ნი ნ. ტ. დაგვეთანხმება, რომ იმგვარი კანონი, რომელიც «დაძველდა», ე. ი. ახლანდელ შეხედულობას ეწინააღმდეგება, ბევრია არამც თუ რუსეთში, არამედ სხვაგანაც. ამის მიზეზი ის არის, რომ კანონმდებელს შეძლება არა აქვს ჩქარ-ჩქარა სცვალოს კანონები და არც ვარგა, მაინცა და მაინც, კანონის ჩქარ-ჩქარა გამოცვლა, რადგან ეს აფერხებს კანონის ავტორიტეტს. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია პირველი აზრი ნაფიცთა მსაჯულების შემოღებისა; სწორედ ამის გამო აუცილებელ საჭიროებად სცნეს სამზღვარგარეთ სასამართლოში 12 მკვიდრისაგან ამორჩეული კაცი მოეწვიათ საქმის გარჩევის დროს და ამ მკვიდრთა შეხედულობით ეხელმძღვანელათ.

მე ბრალდებულის ამგვარ განთავისუფლებაზედ ვლაპარაკობდი და, ჰხედავთ, ეს ალაგი როგორ გაუგია ბ. ნ. ტ—ს?!! მე ვამტკიცებდი: „ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებითი მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს დაბრკოლებად სასამართლოს გაუკეთესობასათვის“—ამ აზრის დასამტკიცებლად ვხელმძღვანელობდი იმ ჭეშმარიტებით, რომ ყოველთვის ახალი სასარგებლო საქმე უნდა მიეგვაროს ადგილობრივს გარემოებებს.

ბ-ნი ნ. ტ. გაკვირვებით ამბობს: „გმელიშვილს გამოუკვლევია სხვა გვარი ტიპი ნაფიცთა მსაჯულებისაო“!

რამდენი ჭეშმარიტი დასკვნაა ეს აზრი ჩემის წერილიდან, ეს მკითხველისთვის მიმინდვია.

მაგრამ განვაგრძობ იმის დასაბუთებას, თუ რამდენათ საჭირო ჩვენში ნაფიცთა მსაჯულების შემოღება: ვიმეორებ—ნაფიცთა მსაჯულების შემოღება საჭიროა იმისათვის, რომ სასამართლომ უკეთ შეასრულოს თავის დანიშნულება.

გერმანიის მეცნიერი ბრუნნერი ამბობს: „ძნელად მოიპოვება სხვა მაგალითი ახალი საქმისა, რომელიც ისე მალე გავრცელებულიყოს მთელ ევროპაში, როგორც ნაფიცთა მსაჯულების შემოღება. დაარსებული ინგლისსა და ამერიკაში, ნაფიცთა მსაჯული გახდა სასამართლოს აუცილებელ მოთხოვნილებათ და დღეს წარმოადგენს ერთს დამახასიათებელ თვისებათაგანს ევროპიულ კულტურისას“.

ეს აუცილებელი საჭიროება სასამართლოში ნაფიცთა მსაჯულების შემოღებისა გამოიწვია იმან, რომ სასამართლო უნდა ეთანხმებოდეს საზოგადოების აზრსა და სინიდისს და

# ფელეტონი

—

**დედა**

(ლეგენდა)

I.

მოკეკლუცდა გაზაფხული,
მოაცურებს ყვავილთ ნავსა,
საქართველო, ქვეყნის გული,
სამოთხის ბაღს დაამსგავსა!..
შეუმოსა მრავალ გვარად
ია-ვარდით, ეშხით გული,
გარდაჰფინა მთა და ბარად
ნუგეში და სიხარული.
იმედთა და უკვდავების
თაიგული გარდუშალა
და ნაღველი ცრემლ-ვაების
გაუქარწყლა, ჩაუშალა,
სიხარული დაავალა,
სიმხნე სულის მიაშველა,
მისს სიტურფეს ანაცვალა
კუთხეები ქვეყნის ყველა.
სამოთხის ვარდს სუნი სთხოვა,
უკვდავება—მაცხოვარსა,
ცის მნათობთა—სხივთა გროვა,
სიხალისე—დილის ცვარსა;
პარნასის მთას—ჰანგი ტკბილი,
მიმზიდველობა—ანდამატსა,
მადლი, ძლევით შემოსილი,
ანგელოზთა ღვთიურს ძალსა—
და ეს ყველა შეზავებით
ჩვენს სამშობლოს მოუვლინა,
საგანგებო ნეტარებით
მადლს აღუგო ლხენით ბინა!..

II

ამწვანებულს გორაკაზე
არის ქოხი აგებული...
ყვავილთ ხალი გაგებული;
ვით რომ განგებ—ქოხის ბანზე
ვაზი არის ამოსული,
ურბის წყარო ქვიდამ-ქვაზე
შორის კლდიდამ წამოსული.
ფრინველთ გუნდი უვლის მას გარს,
უსტვენს, უმღერს ვარდ-ყვავილებს
და საამო ჰარმონიას
მთა და ველი ინაწილებს.
მკერდ-შემკობილს არე-მარეს
მზე ცოტას ხნით სტოვებს ობლად,
ბადლად აგდებს კაშ-კაშ მთვარეს
ნაზის შუქით შესამკობლად.
და წასვლის დროს ცას, ქვეყანას
აკეკლუცებს მრავალ-ფერად...
მგოსანი სდგას, ციურს ნანას
ჰგალობს გულის ასაძგერად!..
ერთი სხივი ჰკრთის, თამაშობს,
ეპარება ქოხის ბანსა,
თითქოს მასშიგ შესვლას ჰლამობს
და ამბების გაგებასა,
მაგრამ როცა სქელს სუროში,
რაც რომ ქოხსა მწვანით ჰმოსავს,
ვერ გაატანს—მდინარეში
ჩახტება და იმალავს თავს.
იქ თავისს თავს რა რომ ჰნახავს,
ვით აშიკი, კეკლუცადა
თავ-მომწონედ შორს სავალს გზას
დაადგება, წავა ცადა...
ვიშ! ეს წამი იტაცებს თვალს,
გულსა იტკბობს მთელი ერი,
აღარა ჰგრძნობს მწარს სატანჯავს
გაზაფხულით ბედნიერი!

III

მაგრამ ანნას, საწყალს ანნას
ნეტარება არ ეხება,
როს სიახლე მთელს ქვეყანას
ატკბობს—იგი იმეხება.
ყოვლად დასჯილს, განაწამებს
შემდგარი აქვს გულის ძგერა,
ნაშთს სიცოცხლეს უშავ-ღამებს
დაწყევლილი ბედის წერა!
არცა ნატვრა, არც სურვილი,
არც ლოცვა და არც ვედრება
მას აღარ სწამს... გონ-მიხდილი
მოჩვენებას ის ედრება;
შემშრალი აქვს ცრემლი თვალზე,
დაჰკარგვია სრულად ფერი,
გაქვავებულს მისს სახეზე
არ ისახვის არაფერი;
სასიცოცხლოს აღარა ჰგავს,
არც ღვიძავს და არც თუ სძინავს,
ხელ-დაკრეფით თავზედ ადგას
სულთან მობრძავს ლამაზს ნინას,
ნინას სათნოს და მშვენიერს,
ერთად-ერთს ქალს, ერთსა იმედს,
ღვთისნიერსა, არ ქვეყნიერს,
სიყვარულის წინამორბედს;
არ ჰყავს შემწე—მხარს აძლევდეს,
არც მფარველი ქვეყნად ერთი,
თითქოს მათთვის არ ჰსუფევდეს
ზეგარდამო დიდი ღმერთი.
და ამისთვის არად მიაჩნს
აღარც ლოცვა, აღარც ჯვარი,
არავისთან აღარა აქვს
სათხოვნი და სანუკვარი!..

IV

მაგრამ კარი გაიღება,
მოესალმის უცხო ერთი
და ეს წამი შეიქნება
გონთან დედის შემაერთი.
ითხოვს ბინას, თავ-შესაფარს,
მოწყალებას, მოსვენებას...
არც ჰგავს ცოცხალს და არც თუ მკვდარს,
ჰგავს საშიშარს მოჩვენებას.
თეთრი თმა და თეთრი წვერი
მუხლებამდის იმას ჰფარავს,
საიმქვეყნო აძევს ფერი,
სახე წელთ-სვლას დაუღარავს...
ანნამ ჰკითხა: „შენ ვინა ხარ,
სასაშიშროვ, მაგისთანა?
ღვთისა ხარ, თუ ეშმაკის ხარ,
ჯოჯოხეთმა მოგგზავნა?“
—ღვთის კაცი ვარ, მოგზავნილი
სანუგეშოდ ამა სოფლად,
დარაჯი ვარ მეტად ფრთხილი,
ღვთის ნება მსდევს თანამგრძნობლად.
მკურნალი ვარ... ჩემს მალამოს
ყველა ჰხმარობს მთად და ბარად,
დავიწყების ძილს საამოს
გიძღვნით... ტანჯვას გისპობთ მარად!.
რა ეს ესმა საწყალს დედას,
მუხლი მის წინ მოიყარა,
თაყვანი ჰსცა უცნობს მკურნალს,
თან ცრემლები გადმოყარა,
შეევედრა: „სანუკვარი
ასული მყავს მარტო ერთი,
იგი არის ჩემი ჯვარი,
სიცოცხლე და ჩემი ღმერთი!
იმის თავზედ ამომდის მე
დღისით მზე და ღამით მთვარე,
სიხარული და სიამე
მხოლოდ მასზედ დავამყარე;
უნუგეშო ჩემი გული
მით დავიტკბე, გავახარე,
მისი ტრფობა, სიყვარული
გულის წყლულზედ დავიფარე,
მისი დღენი, ბედის წერა
ლოცვა-ზრუნვას ჩავაბარე,
მასში ვპოვე მე სიმღერა
და ტანჯულმა გავიხარე...
ახლა, ოდეს ჩემი ნინა
თორმეტის წლის შემისრულდა,
ღვთისა რისხვა მომევლინა,
ჯოჯოხეთი დამიბრუნდა:

ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ ნაფიცთა-მსაჯულების საშუალებით.

მოვიყვან ამ საგნის შესახებ გამოჩენილ მეცნიერთა, პუხტასი და სავინის აზრს. ამ იურისტების აზრით „სჯული წარმოადგენს ერის განსაკუთრებულ აზროვნობას.“ ამიტომაც, რადგან აზრი და შეხედულება ერის ჩვეულებაში უფრო კარ გად გამოიხატება, ვიდრე კანონებში, ხსენებულნი მეცნიერნი უპირატესობას კანონის წინაშე ჩვეულებას აძლევდნენ. თითქმის ამგვარისავე აზრის იყვნენ პუხტასი და იმის სკოლის მოწინაალმდეგენიც და ამ აზრსავე ადგია ახლანდელი მეცნიერება *

ამ გვარად სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადოების შეხედულებით და ამ შეხედულების გატარება შეუძლია მხოლოდ ნაფიც-მსაჯულებას.

რუსეთში პირველი აზრი ნაფიცთა მსაჯულების შემოღების შესახებ წარმოსთქვა ბ-ნმა როვინსკიმ. ამ პატივცემულის სენატორის აზრით ნაფიცთა მსაჯულების შემოღება საჭირო იყო ძველი სასამართლოს ნაკლულევანების ასაშორებლად. გრაფმა ბლუდოვმა, რომელიც ამ დროს სასჯულო საქმეთა მინისტრად იყო, როვინსკის წინაალმდეგ ბევრი ვითომდა დამაბრკოლებელი მიზეზი წარმოადგინა, მაგრამ გრაფი ბლუდოვი მაინც იმ აზრისა იყო, რომ ნაფიცთა მსაჯულები უნდა შემოვიღოთო. ამ აზრს საზოგადოება მხარს აძლევდა, და ასე წარმოიდგინეთ თითონ კატკოვიც-კი აჰყვა საერთო სურვილს.

როვინსკი ნათლად ამტკიცებდა, რომ ერთი ვითომ და დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც მოჰყავთ მოწინააღმდეგეთ,—ის არის, რომ

*) იხ. თხზ. Творческая сила обычая—Бѣлогрицъ Котляревскій.

ჯერ რუსეთის საზოგადოება საკმარისად არ განათლებულაო. ეს გარემოება ავტორის აზრით სრულებით არ წარმოადგენს დაბრკოლებას. „დარწმუნებული ვარო“, ამბობდა როვინსკი, „რომ ამ გვარი სასამართლო ე. ი. სადაც ნაფიცთა მსაჯულები არიან უნდა ადრევე დაარსდეს, უმალ, ვიდრე უკლანი შეიქნებიან განათლებულნი და შეითვისებენ სამართლიანობას, რადგანაც გაუნათლებელი საზოგადოება პატივსა სცემს მარტო იმას, რაშიაც თითონ აქვს პირდაპირი მონაწილეობა. და, თუ ეს საზოგადოება არ იქნება სასამართლოში საქმის გამგეთ, სასამართლოს პატივისცემა არავის ექნება **).

ყოველი გაუნათლებელიც-კი დარწმუნდა, რომ ხსენებულ ინსტიტუტი სასარგებლოა და საჭირო. მაგრამ, როცა მეცნიერებამ და ლიტერატურამ ცხადად დაამტკიცა ამ ინსტიტუტის სარგებლობა, სამწუხაროდ ახლა კიდევ მოიპოვებიან მოწინააღმდეგენი!

რასაკვირველია, ჩვენში ყველანი განათლებულნი არ არიან, მაგრამ განა რუსეთში იმ დროს, როცა ეს ინსტიტუტი შემოიღეს, განათლებას ფესვი ძალიან ჰქონდა გადგმული?!. ასეც რომ იყოს, ზემოდ მოყვანილი სენატორის როვინსკის აზრი კარგა ნათლად გვი-ტკიცებს, რომ გაუნათლებლობა სრულიად არ დააბრკოლებს ამ ინსტიტუტის დაარსებას. ამბობენ ჩვენში რუსულად ლაპარაკი არ იციანო და ერთგვარ ერისაგან არ შესდგება საზოგადოებაო. ვიმეორებ, თითოეული სასარგებლო მოვლენა მიგვარებული უნდა იყოს ადგილობრივ გარემოებასთან. ეს ჭეშმარიტებაა და ამის წინაალმდეგ არა ითქმის-რა.

განსაკუთრებული თვისებები ერისა და ადგილობრივი მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს დამაბრკოლებელ მიზეზად, როდესაც სასარგებლო ფაქტორის შემოღება სურთ.

ყველასათვის ცხადია, რომ ინგლისის, მდგომარეობა სრულიად სხვა იყო იყო რუსეთის სხვა... მაშ, თუ ადგილობრივ მდგომარეობას ასეთი დაბრკოლება შეუძლია, რატომ ეს დაბრკოლება არ აღმოჩნდა, მაშინ, როცა ინგლისიდან რუსეთში გადმორგეს ინსტუტი ნაფიცთა მსაჯულებისა?!..

გ. ი. გძელიშვილი

**) Джаншіевъ—какъ возникъ нашъ судъ присяжныхъ.

# ახალი ამბავი

—

*** ხმა დადის, რომ ამ მიმდინარე წლის გაზაფხულიდგან შეუდგებიან ბათუმსა, თავრიზსა და თეირანს შორის გასაყვან რკინის გზის გამოკვლევას.

*** საუფლისწულო უწყებას გარდაუწყვეტია ჩაქვაში ჩაის გაშენებას გულმოდგინედ შეუდგეს. ამიტომ, როგორც „Нов. Вр.“ იუწყება, ჩაის მოყვანის შესასწავლად საუფლისწულო უწყება ცალკე ექსპედიციასა ჰგზავნის თბილს ქვეყნებში, რათა ადგილობრივად შეისწავლოს ჩაის მოყვანა. ეს ექსპედიცია შესდგება რამდენისამე კაცისაგან: ბ-ნთა კრასნოვისა, კლინგენისა და ორის აგრონომისაგან. ექსპედიცია დაათვალიერებს: დარჯილინგს (სამხრეთ ინდოეთშია), ცეილონს, ჩინეთსა და სხვა ქალაქებს, ამათ რიცხვში კანტონსა და იაპონიასაც. ექსპედიცია მთელს წელიწადს დარჩება და შემდეგ ბატონი კლინგენი ორის აგრონომით საქართველოში დაბრუნდება და ჩაქვაში ჩაის მოყვანას შეუდგება. ეს ექსპედიცია მიმდინარე წლის თებერვლის ნახევარში გავა ოდესიდგან.

*** როგორც შევიტყეთ, უმართებულესის სენატის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელი ა. თ. კონი ამ თვეში ველარ ჩამოვა კავკასიაში. მისი ჩამოსვლა გადადებულია მარტისათვის (Н. О.).

*** იგივე გაზეთი სწერს: ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ვ. ვ. სმიტტენი პეტერბურგიდგან უკვე ჩამოვიდა ტფილისში; როგორც ვიცით, სმიტტენი პეტერბურგში სასამართლოს წესდებათა გადამსინჯველს კომისიაში იღებდა მონაწილეობას.

*** ხევი (დუშეთის მაზრა). ჩვენში ისე თბილა, როგორც აპრილის უკანასკნელს რიცხვებში. თოვლი დნება, გზას მტვერი ასდის. არც დღისით და არც ღამით ყინვა სიცივეები არ არის. ჩვენი ხალხი მოუთმენლად მოელის ახალის მოხელეების ამორჩევას. მოხარულია, რომ მოხელეების ამორჩევის წესი მთავრობამ ძველებურადვე დასტოვა და რამდენისამე საზოგადოების შეერთებით ახალს წესსზედ არ შესცვალა, რადგანაც მაშინ დიდი ხარჯი დააწვებოდა კისერზედ და, ისეც ნივთიერად წელში მოხრილი გლეხ-კაცობა, მაშინ უარესად მოიხრებოდა

*** ს. აბაშა: აქეთ ძალიან კარგი დარებია. ზამთარი ისე მიდის, რომ თოვლი თვალითაც არ გვინახავს. აქეთ კიდეც ამწვანდა ხეები, ამისთანა დარები იანვარში არავის ახსოვს.

*** სოფ. გრემი (კახეთი): აქ ამ ოთხის წლის წინად დაუწვავს ბოროტ-მოქმედებმა საბძელ-კალო ერთს საწყალს გლეხს. თუმცა სოფელმა ოქმით დაადგინა ეზლოთ ზარალი, მაგრამ ბოქაულმა ყურადღება არ მიაქცია და აქამდისაც არა მიუციათრა. ეხლა, წარსულის წლის 7-ს ნოემბერს, ამავე გლეხს დაუწვავს აგურისა და კრამიტის ქარხანა და ფიცრები. ახალი ბოქაული დიდის მეცადინეობით შეუდგა [illegible]ნას და თუ ვინ[illegible]და, მაშინ სოფელმა უნდა გადაიხადოს. სასურველია, რომ ამ გადახდამ წინანდებურად არ ჩაიაროს.

*** ბარის ოსები. როგორც კავკავის მაზრის ბარისა და მთის ოსებმა, ისე ქისტებმაც გაჰგზავნეს დეპუტაცია, რომელთაც გაიტანეს გვირგვინი განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III საფლავზედ დასადებად. სხვათა შორის, ქისტების საზოგადოების სინზედ, რომელზედაც გვირგვინი იდო, დახატული იყო თოფი, ხმალი და ხანჯალი, ბოლოს შებმული გუთანი და კაცი, რომელიც სთესს. ეს იმის ნიშანიაო, რომ ვითომ იარაღი დავყარეთ და ხვნა-თესვას მივყავით ხელიო.

*** იქიდგანვე: ამ ჟამად ბარის ოსებში თოვლი სულ აღარ არის, გზაზედ სულ მტვერი ასდის, მოხუცი ოსები ამბობენ, რომ ამისთანა ზამთარი, კარგი ნიშანი არ არის მოსავლისა და ჯანმრთელობისათვისაო.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ავლაბრის კინტოების უწესოებას. ესენი ყოველდღე იკრიბებიან ფერისცვალების ქუჩის ბანებზედ და იმათ ყვირილს და ჩხუბს საზღვარი არა აქვს; ამასთან თუ ვინმემ შენიშნა—რამე, გადაემტერებიან და ადრე თუ გვიან გადაუხდიან. ძალიან შეწუხებულნი არიან ამათგან აქაურნი მცხოვრებნი.

## კორესპონდენცია

—

**სვანეთი, 17 იანვარი.** ჯერ-ჯერობით საკვირველი დარები დაიჭირა ამ ზამთარმა; იანვარი სვანეთს აპრილად გარდაექცა, სოფლად ცოტა თოვლი სდევს და მზე მუდამ-დღე საკმაო სითბოს გვიგზავნის. ლატფარის

---

ბედი მართმევს ერთად-ერთს შვილს
ჩემს სალოცავს და იმედს ერთს,
გამხეცებულს დედას, ცოდვილს,
მაგმობინებს სჯულსა და ღმერთს!..
მაშ იწამე სალოცავი,
ხატი, ჯვარი, ღვთისა ძალი
და, თუ ძალ-გიძს, მომაკვდავი
განმიკურნე ჩემი ქალი!..“
—კარგი, შვილო, კარგი, კმარა!—
ანუგეშებს დედას მგზავრი—
შენმა ცრემლმა გამამწარა,
გამიზლავა ოხვრა, ჯავრი!..
ინუგეშე, მოილხინე—
მშვიდად ჰნახავ ნინას მალე...
მაგრამ ცოტა მომითმინე,
ნამგზავრი ვარ—დავიღალე...
მომიტანე ცივი წყალი,
მწყურიან და მიამება,
გადღეგრძელებს ღვთისა ძალი,
შვილს გიკურთხებს თვით სამება...
მირბის დედა, არ ზოგავს თავს,
მიაშურა ცივსა წყაროს,
ჰფიქრობს შვილსა განუკურნავს
და მით უნდა გაიხაროს.
მაგრამ ოდეს ცივი წყალი
მოიმედეს მოუტანა,—
ვერც მას, ვერც შვილს ანნამ თვალი
სახლში ველარ მოატანა!..
შიშის ზარმა მეხი დასცა,
წაიშინა მწარედ თავში,
დაჰგმო ღმერთი, სჯული, ზეცა
და გავარდა წყევლით კარში...

V

იქვე ქვაზედ ჩამომჯდარა
ვიღაც უცხო დედაბერი,
თვალ-ჩიჩხა და თმა-ჭაღარა,
უკბილო და ლილის ფერი;
პირის სახე მილეული,
დაღმანჭული, ჩამომდნარი,
ტურის ტყავში გახვეული
შესაზარლად მომცინარი.
ანნამ რომ ის დაინახა,
შეკრთა, გული შეეზარა,
მაგრამ ჯვარი გადისახა
და იმისკენ გაეჩქარა.
მიაძახა: „გაფიცებ ღმერთს,
რაც რომ გკითხო—სთქვა მართალი!
ახლა, ამ წამს, მოხუცსა ერთს
ხომ არ მოჰკარ, სითმე თვალი?
სახით იყო საშიშარი,
ტანთ ემოსა ძველის-ძველი.
მაღალი და ჩამომხმარი,
საზიზღარი, ვითა გველი?..
მან მომტაცა ჩემი ქალი,
ავადმყოფი ჩემი ნინა,
ვერ მოვასწარ წყეულს თვალი,
არც ის ვიცი—სად აქვს ბინა!“
—როგორ არა! ის ბებერი
რომ გესტუმრა მათხოვარად
სიკვდილია... მთელი ერი
მას ხარკს აძლევს მთად და ბარად;
არვის სზოგავს, არ იბრალებს,
არც ობოლს და არც ქვრივ-ოხერს,
ყველას მიწას ის აბარებს,
დიდს, პატარას, მტერს, მოყვარეს;
მისთვის ყველა ერთი არის
მმართველი და თითონ მონა,
დასასრული ყველასათვის
ერთნაირი მოიგონა;
ბინად რა აქვს: ცა, თუ მიწა,
ჯერ ვერ მისწვდა იმას ჰკუა;
ბევრი კარგი დაამიწა,
მიასია ჭია-ღუა;
ყველა მისი მხნე მტერია,
სწყევლის და ჰგმობს მას ქვეყანა,
მაგრამ ვერვინ მოერია,
ვერვინ ახსნა გამოცანა!..
მიფრინავდა.., თან მიჰყავდა
გულს ჩაკრული შენი ნინა,
ანგელოზსა მძინარს ჰგავდა,
მზე თავს ჰხრიდა იმის წინა;
სიყვარულის წყაროს ჰგავდა,
ნეტარების საუნჯესა,
სანუგეშო მადლს აფრქვევდა
და ციურსა სიტურფესა!..
ის რომ იყოს ჩემი ქალი—
სიკვდილს ფეხით გავუდგები,
ან წავართმევ, ან ვით ავლი
დავიპნევი დავაკვდები!..
—მეც ეგრე ვიქ!.. სით წავიდა,
რომ არ ვიცი მათხოვარა?
ის წყეული, არა-წმიდა?
უგრძნობელი, მატყუარა?
„ვიცი, მაგრამ მე გზას ტყვილა
ვერ გასწავლი, სწორედ ვერა:
უსასყიდლოდ არა ქმნილა
ქვეყანაზედ,—ხომ-კი გჯერა?“
—რა გვარი გსურს სასყიდელი?
მითხარ მალე, შენსა ლხენას!
ღატაკი ვარ... რასაც ხელი
მიმიწვდება—მოგცემ ყველას...
„მე სიმდიდრე სულაც არ მსურს,
კიდევაც მძაგს მეტის მეტად...“
—სთქვი... ვფიცავ შვილს—სულიც
არ მშურს
საწინდლად და წასაწყმედად!
„მაშ თუ არ გშურს, გაიმეტებ—
თეთრნი კბილნი მითავაზე
და მაშინვე დაგაყენებ
უტყუარს და მართალს გზაზე“.
იმავ წამსვე მწარე ტანჯვით
ამოიძრო კბილნი ყველა
გულ-მომწველის ცრემლ-ვედრებით
ხელ მეორედ სთხოვა შველა.
„წადი აგრე, დაადექ გზას
სულ პირდაპირ, არ გახარო,
იქ, შორს, ჰნახავ ერთს მაღალს მთას,
ზედ გადმორბის ათი წყარო,
იმ მთის გვერდით ბილიკი სძევს,
საშიშს კლდეზედ იმას აჰყავს,
იქ არწივიც ველარა ჰფრენს,
მწვერვალს მისას ნისლი ჰფარავს,
იქ რომ ახვალ—შეამჩნევ გზას
ორს ტოტიანს, ჯვარადინას,—
აი, სწორედ იმ გზას მიჰყავს
სიკვდილისკენ... იმის ბინას
ის გაჩვენებს... ვისმე ჰნახავ,
გეტყვის—მარცხნით სჯობს, თუ მარ-
ჯვნით...
ღმერთს ნულარ ჰგმობ, ხვედრს ნუ
სძრახავ,
გულს ნუ იჯკნობ ცრემლით, ტანჯ-
ვით“.

VI

მოიღრუბლა... ღამე ბნელი
სულს აშფოთებს, გულსა ჰზარავს,
ირგვლივ ნისლი საშინელი
აშავ-ღამებს და გზას ჰფარავს.
მეხი მეხს სდევს, ელვა—ელვას,
მიწა ძრწის და ცა გრიალებს,
ძირს მდინარე რაღაც წყევლას
კლდის ნაპრალებს შეჰღრიალებს...
ამ საშინელს, საზარს ღამეს
თავს არიდებს ქვეყნად ყველა!..
ანნა მიდის... ჰგრძნობს სიამეს—
სულის ძალა მოეშველა!
მას გზას ველარ აქცევინებს
ცა მრისხანე, მოღრუბლული,
შიშსა და ჭირს აძლევინებს
დედის წმიდა სიყვარული!..

VII

მიაღწია ჯვარადინს გზას
დაქანცულმა მეათე დღეს...
შეისვენა... უცნობს მთა-ბარს
დააშტერდა, ვით სამოთხეს.
იმას სწამდა—ახლოს იყო
მისი ხსნა და მისი შველა,
ტკბილ ოცნებამ შორს წაიღო,
თვალნი ცრემლით მოუსველა.
წარმოუდგა თვისი ქალი,
საალერსოდ მომცინარი,
დედისაკენ მომავალი,
ვით ვარდი და ვით ცისკარი...
აუტოკდა ტკბილად გული,
ველარ გასძლო, მოითმინა,
გრძნობა ექმნა დაკარგული,
დაიკივლა: „ჩემი ნინა!..“
მაგრამ, ოდეს გონს მოვიდა,
სცნო შეცდომა—მწუხარება
გულს ჩაეკრა, გადმოსწვიმდა

უდელტეხილი საცხენო გზისათვის შემოდგომაზევე იკვრება; არც ქვეითი ხალხი დაიარება ამ დროიდგან ხსენებულს გზაზედ. საზამთრო საქვეითო გზა სვანეთს აქვს მდ. ცხენის წყლის აყოლებაზედ. დიდის თოვლის მოსვლა არა ჰსპობს ამ გზაზე ქვეითის სიარულს, ცხენის გზა-კი აქაც ოკტომბრის ნახევრიდგან შეუძლებელია. ასეა ყოველთვის სხვადროს, მაგრამ ეხლა-კი ბუნებამ სხვა ნაირად მოაწყო საქმე; აგერ იანვარი ნახევარზედ მეტი გავიდა და ტვიმერით ე. ი. მდ. ცხენის წყლის აყოლება-კი ცხენოსანნი მგზავრნითავი! უფლადდაიარებიან. ღრმად მოხუცებულებს არ ახსოვთ მეორე ამ გვარი შემთხვევა. ვნახოთ, რას გვიზამს თებერვალი, რომელმაც შარშან ბლომად დაგვაყარა თოვლი.

## რუსეთის ცხოვრება

—

საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიამ უწმიდესის სინოდის ნებართვით ახალი მოწერილობა წარმოუგზავნა სამღვდელოებას. მხოლოდ ხალხთან ახლო მდგომს სამღვდელოებას შეუძლიან დაუფასებელი სამსახური გაგვიწიოს იმითი, რომ ძველის დროის ათასგვარი ნაშთი არ აღიგავოს და არ მოისპოსო. ამ აზრით მიჰმართავს საარქეოლოგიო კომისიის თავმჯდომარე სოფლის სამღვდელოებას და სთხოვს, საეკკლესიო სალაროებში შენახულს ძველს ნივთებს გაუფრთხილდით და ნუ გაჰყიდით, აგრეთვე ჩააგონეთ გლეხებს ყველამათ მიერ ნაპოვნი ძველი ნივთი საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისიას უგზავნონო. კომისია თავისს მხრივ მაშინვე დააფასებს ნაპოვნს ნივთს და ღირსეულს ფასს მპოვნელს გაუგზავნის, რომელთაც შეეძლებათ ეს ფული თავისის მღვდლისაგან მიიღონო.

—

„Степной Край“ გვატყობინებს, რომ მომავალის წლიდგან ტომსკის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი იქნება დაარსებული.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვეცდებით შეძლებისამებრ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ის აზრი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობისა, რომელიც იმპერატორის მიერ 17 იანვარს წარმოთქმულ სიტყვის შესახებ იქმნება გამოთქმული. აი, რასა სწერს, მაგალითებრ, გაზ. «Московск. Вѣд.»-ი: ამ სიტყვაში

„აღნიშნულია ის გზა რომლითაც რუსეთი ივლის. ეს გზა საუკუნოებმა გამოარკვია, ამ გზით დადიოდა ეს არის ეხლა განსვენებული თვითმპყრობელი, რომელმაც თავისს საყვარელს შვილს გარდასცა დიდებულნი მცნებანი თავისის სახელოვანის მეფობისა; ეს ის გზაა, რომლითაც რუსეთმა მიაღწია აქამდე არ-ყოფილს კეთილ-დღეობასა და ერთა კრებულში პირველს ადგილს; ეს ის გზაა, რომელზედაც რუსეთის ერი, იმ თავითვე ეროვნული ქვეშევრდომი, მზად არის თავი დასდოს თავისის ერისათვის და რომელზედაც რუსეთის მეფე თავისის საყვარელის ერის კეთილდღეობასა სწირავს ყოველს თავისს ძალსა და ღონეს.

ამ გზიდგან, რომელზედაც გზის მაჩვენებლ ვარსკვლავად ჰბრწყინავს დედა-აზრი თვით-მპყრობელობისა, რუსეთს ვერ გადაასცდენს ვერავითარი და ვერავისი უაზრო ოცნება-გატაცებანი. სუსტთა გონებათა რყევასა და დაუდგრომლობას ზოლო მოელო“.

**

თითქმის ამ გვარისავე აზრისაა პეტერბურგის გაზ. „Нов. Время“-ც.

„თვით-მპყრობელობაო, სწერს იგი, ის მკვლის-მკვლი წესია მმართველობისა, რომელმაც აწინდელი რუსეთი შექმნა. ოცნებანი იმის შესახებ, რომ ერობამ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვის საქმეში, ეს საკონსტიტუციო მიდებ-მოდებაა, რომელიც, რასაკვირველია, უნიადაგოდ დარჩება თვით-მპყრობელს სახელმწიფოში, სადაც არა თუ ჰმეფობს, არამედ ჰმართავს კიდეც ქვეყანას მხოლოდ ხელმწიფე, სადაც სხვა საპოლიტიკო დასი არ იქნება, სამშობლოს გარდა, და სხვა ხელმძღვანელი, ხელმწიფის გარდა. ერობა დიდად გამორკვეული დაწესებულებაა, რომელსაც თვით-მპყრობელს სახელმწიფოში, ადმინისტრაციასთან ერთად განსაზღვრული საქმე-სამუშაო აქვს მინდობილი, შეუძლიან მკვიდრთ გარდასახადი შეაწეროს და ცხოვრების ზოგიერთის დარგის სამეურნეო ნაწილი გასაგოს.“

აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც პეტერბურგში გამოიწვევენ ხოლმე სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელთ ადმინისტრაციასთან ერთად ქვეყნის სხვა-და-სხვა საგანთა და საჭიროებათა განსახილველადაო.

„აშკარაა, რომ შეიძლება მხოლოდ ამ მხრივ სვლა წინ, ისე კი, რომ არ შევეხნეთ თვით მპყრობლობის დედააზრთ, რომელსაც ისეთის დიდის ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია, სადაც დიდ-ძალი სხვა-და-სხვა ეროვნებაა, ერთა დიდად შემაერთებელი, ნამდვილი რუსული წესია ქვეყნის მართვისა. ეს ერთობა, ერთიანობა და განუწილებლობა უფლებისა დიდად საჭიროა ერის კეთილდღეობისათვის, ყველა, და თითოეულის სიკეთისათვის, სარწმუნოებისა, ერისა და წოდების განურჩევლად. რაც უნდა თავისუფალი იყოს აზრი, უოველივე კერძო ინტერესი, ყველა უფლება და უპირატესობა, ყოველივე, რაც-კი საკეთილოა და გამოსადეგი მთლად ერისათვის, თვით-მპყრობელობას გზაზედ არ უნდა ეხიდებოდეს და არც არავითარ ძალ უძს შეამციროს, დაარღვიოს ეს უფლებაო“.

## უცხოეთი

—

**ბოლგარია.** „Ungorische Correspondenr“-ის სიტყვით, იმედი უნდა გვქონდეს რომ ბოლგარიასა და ავსტრო-უნგრეთს შორის მომხდარის სადამოუნო მორიგების საქმე რიგიანად წავაო, რადგანაც ბოლგარიაში ამ ჟამად სიმშვიდე დამყარდაო.

თქმა არ უნდა, რომ სტოილოვის სამინისტრო ცოტა არ იყოს სხვათა მოთხოვნილებას დაჰყვა.

გაზეთი „Berliner Tageblatt“ ასე განმარტებს სამინისტროს დაყოლიებას:

„ლიბერალთა დასის მეთაური როდოსლავოვი აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა სტოილოვის სამინისტრო დაეცემა ავსტრო-უნგრეთის მიერ საქციზო კანონის უარყოფის გამო, მაშინ მე მზადა ვარ ახალი სამინისტრო შევადგინო, რომელიც უარსა ჰყოფს ამ ახალს კანონსაო, მთელი მხარე მადლიერი არ არის ამ კანონისა და ავსტრო-უნგრეთს სრული უფლება აქვს უარ-ჰყოს იგიო. შემდეგ როდოსლავოვმა სთქვა, რომ სრულიადაც არ მეშინიან კარაველოვისა და ცანკოვისა, რადგანაც ჩემი მომხრე სტამბულოვი იქნებაო; როდოსლავოვის აზრით ბოლგარია მხოლოდ მაშინ შეიქმნება ბედნიერი, როდესაც ამ ქვეყანაში „ავსტრიის ძმური გავლენა ექმნებაო.“

—

გაზეთ „Berliner Tageblatt“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ვითომც სტამბულოვსა და იმისს დასს გადუწყვეტიათ თავისს ძალ-ღონე პრინცს ფერდინანდს შესწირონ, რათა „ბოლგარიაში თავისუფლება და წესიერება აღადგინონო.“ სტამბულოვმა გარდასწყვიტა, რომ პრინც-ფერდინანდი ჰნანობს, რომ ასე ცუდად მომექცა, [illegible] რომ გამოტყდეს [illegible]

## სასამართლოს მატიანე

—

შაბათს, 21 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ ციმბირის მკვიდრ მცხოვრების ივანე ფედოროვის საქმე მოისმინა, რომელსაც ჰბრალდებოდა შვილის მოკვლა და განზრახვა ცოლის მოკვლისა. ეს ამბავი მომხდარა შარშან მარტში, ქ. ბაქოში, ვოლოვოზნის ქუჩაზედ. მივიდა თურმე ივანე ფედოროვი სახლში და დაუწყო ცოლს ჩხუბი, მღალატობო; ამ ჩხუბის დროს ამოიღო დანა და მისი მოკვლა უნდოდა. ცოლი, როგორც ყოფილა, გაჰსხლტომია ხელიდგან და გარედ გაქცეულა; ფედოროვი ახლა თავისს ოთხის წლის ვაჟიშვილს მიჰვარდა თურმე და დანა შიგ გულში დასცა, მერე აიღო და დერეფანში გადისროლა თავ-გაჩეჩქვილი. ბაქოს საოლქო სასამართლომ ფედოროვს ყველა ღირსება აჰყარა და თხუთმეტის წლით მადნებში მუშაობა მიუსაჯა

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 იანვარი

**პარიზი.** სენატმა 216 ხმის უმეტესობით 7-ის წინააღმდეგ შეიწყნარა კანონი ამნისტიის შესახებ.

**ჩიფუ.** ორის დღის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა აიღეს ვეი ხაივეი; ჩინელები გაიქცნენ, 2,000 კაცი დაეხოცათ.

**პეტერბურგი.** მინისტრებმა საერო განათლებისამ, შინაგან საქმეთამ, იუ-

---

სულის მღრღნელი მდუღარება!..

VIII

შეევედრა, ცას შესჩივლა,
გული ლოცვად აუძგერდა;
ერთი კიდევ დაიკივლა
და შავს მიწას დააჩერდა...
„რა გატირებს? რა გაკვნესებს?
დაეკითხა მას ვილაცა,
თუ მომირწყავ სისხლით ფესვებს,
მოწმად იყოს თვითონ ზეცა,
მე გასწავლი შვილის გზასა,
გაპოვნინებ შენსა ნინას,
გამცნობ, თუ მას, მზის სადარსა,
სად აქვს ბინა და სად სძინავს...
მეც ვყვაოდი ერთს დროს, მეცა,
მეც ვამკობდი არე-მარეს,
მაგრამ გასწყრა ჩემზე ზეცა,
მწვანე სამოსს არ მაკარებს;
არც მახმობს და არც მანედლებს,
ვდგივარ მარტო გზისა პირსა,
ნათქვამი მაქვს—გამინედლებს
დედის სისხლი რტოს და ძირსა“.
ნახა—ჩირგვი საუბრობდა
უენო და უმოსელი,
არ ენახა—გაუკვირდა
სანახავი საკვირველი;
მყის განგებას მიაწერა
უცნაური გამოცანა,
თან პირ-ჯვარი გადიწერა,
მოიძებნე ჯიბის დანა,
გამოიშვა სისხლი მითი,
ჩირგვს მოურწყო ძირი, ველი
და მისს თვალებს მაგალითი
წარმოუდგა საკვირველი:
იმოსება ათას ფერად
ჩირგვი ისხავს ყვავილებსა,
ღვთის სამოსად, სადიდებლად
აფრქვევს უხვად წრფელს ცრემლებსა;
ლოცვას უკმევს ყოვლის მპყრობელს,
უძღვნის ქება-დიდებასა,
მადლსა უხდის ნინას მშობელს,
ატანს ლოცვა-კურთხევასა!..
შემდეგ ეტყვის ანნას: „წადი
მარცხენა გზით და იარე,
ჰნახავ გორას, ჰმოსავს ვარდი,
და ის გორა გადიარე,
მაგრამ ვარდთა, მშვენიერთა
არ შეახო, სცანი, ხელი,
არ დალიო წყარო მთათა,
გულის, სულის მიმზიდველი,
არ მიენდო მწვანე მდელოს,
ზამთარ-ზაფხულ მოკაზმულსა,
გაფიცებ შენს საქართველოს
და შვილისა სიყვარულსა:
ბოროტსა და ცხრა სახიანს
მაცდურთა ელჩს აქვს იქ ბინა
ვერ მიაღწევს ვერვინ მიზანს,
თუ მან ვინმე შეაცდინა?..
იქით გვერდზედ კლდის ნაპირი
ჩაჩეხილა საფეხურად,
მასზედ ბორდლავს ტყის ნადირი
ჰღმუის და ჰღრენს მეტად მტრულად.
არ შეშინდე... ჩაჰყევ კიბეს
და პირჯვარი გადიწერე,
საშინელს და საზარელს მხეცს
შიშით გული აუძგერე...
რა ჩაივლი უცნაურს კლდეს
ჰნახავ ორმოს საშინელსა,
შიგნით კიბეს, გაუღეველს,
საარაკოს, საკვირველსა:
სამს დღეს უნდა შიგ იარო,
მანძილია მეტად ვრცელი,
მას შიგ მოდუღს ცეცხლის წყარო,
იკლაკნება, ვითა გველი.
გზას ანათებს, აელვარებს,
არც ეხება და არც სწვამს მგზავრს,
თუ მგზავრი შიშს არ იკარებს
და არად სთვლის ამ სანახავს;
მაგრამ თუ-კი შეკრთა გული
და შეეტყო ჰმუნვარება,
ცეცხლის წყარო, თავ-გასული,
დაესხმის, ვით მდუღარება...
როცა გაჰლევ საშიშს სავალს
და მზის შუქი შემოგხვდება,
იქვე შავი, მელნებრ, შენს თვალს
ტბა თვალუწვდი დაუხვდება.
იმ ტბის იქით უძევს ბინა
ხარბს სიკვდილს და თავს იქ ართობს,
იქ ჰყავს შენი გვრიტი ნინა,
მისს წალკოტში დანავარდობს!..“
მიდის... გზას ვერ აქცევინებს
ვერც კლდე, ვერც ღრე, ვერც უბსკრული,
ჰირსა და შიშს აძლევინებს
დედის წმიდა სიყვარული!...

IX

მიაღწია კლდემდის... სული
შეემოსა ძლიერებით,
თვალნი სიმხნით, ცეცხლით გული,
გრძნობა—შვილის სიყვარულით
და მხეცს მბორდღავს შეუძახა!...
ამ ძალის წინ ქედ-მოხრილი
მხეცი კლდესა დაეჯახა,
აენაყა მას ძვალ-რბილი!...
ძირს ჩავიდა, საკვირველი
სიმხნით ნახა ცეცხლის შარა
და სამის დღის გასავლელი
იმან ერთს დღეს გაიარა...
მიადგა ტბას... ლომებრ გული
იმედებმა შეუმოსა,
უძილობით დაქანცული,
ძილს მიეცა საამოსა.
ძილში ჰნახა მან სიზმარი
და სიზმარში—თვისი ნინა.
საალერსოდ მომღიმარი
იყო, გულით მოელხინა;
ჯან მრთელი და პირ-მცინარე,
ჰგავდა სანატრს ოცნებასა,
სხივსა ჰფენდა, ვით მზე, მთვარე
დედის გულს და გონებასა...
გაეღვიძა... დაქანცულს თვალს
დაესახა კვლავ ტბა შავი,
კვლავ მიეცა ოხვრა-კვნესას
დატანჯული და ბედ-შავი...

X

ტბამა უთხრა: „ვამიგია,
რისთვისაც ხარ წამოსული,
ლახვარზე რად აგიგია
დატანჯული საწყალს გული!—
ნინას ეძებ, შენსა ქალსა,
იმისს ნუკეშს, მისს მზეობას,
ცას უწუნებ სამართალსა,
ადამიანს—შემწეობას...
ტყვილად სტირი: სიკვდილის კარს
ვერ მიაღწევ ვერას გზითა,
ვერ მოჰნახავ დაკარგულს ქალს
შენ ლიტონის ვედრებითა!
იცოდე-თუ ორთავ თვალებს
არ მომიძღვნი სიხარულით,
არვინ აქ არ შეგიბრალებს,
დაბრუნდები სინანულით;
აქ, ჩემს ძირზედ, უმრავლესი
ჰყრია განძი, ალმანტი,
მარგალიტი და ალმასი,
ლალი, თვალი, ბრილიანტი,
იმათ უნდა მივუმატო
ეგ ლამაზი ორი თვალი,
ზედ სამოთხე გარდავხატო,
გავაკვირვო მომავალი...
თუ რომ მომცემ—გაჩვენებ ქალს,
გულს დაგიტკბობს სანახავი,
და თუ არა—ვერ გაგიყვანს
ვერც ხომალდი და ვერც ნავი“.-.
— მერე? შვილი—ჩემი სული,
როგორ ვნახო ჩემი ნინა?
ნათელს ვიყო მოკლებული
ისე ვიდგე შვილის წინა?
მერე რითი უნდა ვიცნო
ვარდის მსგავსი მისი სახე,
ჩემი ტრფობა რითი ვამცნო,
რით გაუგო ალერსთ მახე?
რით შევხედო ედემის ნერგს,
ჩემს მზესა და ჩემსა მთვარეს,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სამოთხეს,
ჩემს ტაძარს და ჩემს სამარეს?
ან და ის რომ შემიწუხდეს?
მახინჯს ველარ მოეკაროს?
მშობელს დედას შეუშინდეს,
დამაწაფოს ტანჯვის წყაროს?
მაგრამ პასუხს არვინ აძლევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიციისამა და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორმა დაადგინეს: სამუდამოდ აღიკრძალოს გაზ. «Русск. Жизнь"-ის გამოცემა.

**ლონდონი.** იაპონიიდგან იუწყებიან, რომ ჩინეთის დელეგატები, რომლებიც მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ მოსალაპარაკებლად არიან გაგზავნილნი, გუშინ მიღებულ იქმნენ იაპონიის მთავარ-მინისტრისა და გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ. იაპონიის დეპუტატთა პარლამენტმა ერთხმად დაადგინა, განუსაზღვრელი სესხი გადაიდოს ჩინეთთან ომის განსაგრძობადაო.

21 იანვარი.

**პეტერბურგი.** იმპერატორის ალექსანდრე III საფლავის შესამკობლად დანიიდგან გამოგზავნილი ოქროს გვირგვინი საიმპერატორო სასახლის მინისტრმა უკვე მიიღო. გვირგვინს აწერია: „Fra Danemark."

ლონდონიდგან ატყობინებენ „Н. Вр."-ს, რომ პრინცი ფერდინანდი, რომელიც ახლა ცანკოვის გავლენის ქვეშ იმყოფება, მზად არის ტახტი თავისს მემკვიდრე შვილს დაუთმოსო.

გაზ. „Новости"-ს სიტყვით, საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიასთან კომისიაა შემდგარი, რომელმაც აკადემიის სახელმძღვანელოდ წესდება უნდა შეამუშაოს, თუ ლიტერატორთა, სწავლულთა, პუბლიცისტთა, აგრეთვე იმათ ქვრივებსა და ობლებს შორის ვისა აქვს უფლება უმაღლესად ნაწყალობევ 50,000 მანათიდგან ნივთიერი დახმარება მიიღოსო.

რკინის გზთა გამყვანმა საგანგებო კომისიამ თავისი გამოკვლევანი წარუდგინა მთავრობას შავის ზღვის პირად რკინის გზის გაყვანის შესახებ. სიგრძე ამ რკინის გზისა 295 ვერსი იქნება. გზის გაყვანას დასჭირდება 17,110,000 მან. ამ პროექტით რკინის გზა ნოვოროსიისკიდგან დაიწყება და ახალს სენაკზედ გავა.

**პარიზი.** რუსეთის სამხედრო აგენტმა გენერალ-ფელდმარშალის გურკოს სახელით გვირგვინით შეამკო მარშალ კანრობერის საფლავი.

**პეტერბურგი.** პროექტია შეტანილი იმის შესახებ, რომ მეურნეობის მინისტრს უფლება მიეცეს ხაზინის საკუთრებად იქმნას შეძენილი ყველა ქვიშნარიანი და ხევ-ხუვიანი მიწები, თუ იმათი გამაგრება საჭიროდ იქმნება ცნობილი და ამ ადგილების პატრონები-კი ამისათვის ხარჯის გაწევას არ ისურვებენ.

იანვარი 22

**პეტერბურგი.** გუშინ წარუდგა მათს უდიდებულესობას შოტლანდიის სამეფო ცხენოსანი რაზმის დეპუტაცია, რომლის შეფადაც ხელმწიფე იმპერატორი ითვლება.

„Московск. Вѣд."-ს შეუტყვია, რომ გარდაწყვეტილია აზიის მაზრებში გასატანს წუმწუმაზედ აქსიზის გარდასახადი გაუქმებულ იქმნებაო.

**პარიზი.** ამნისტიის ძალით როშფორი საფრანგეთში ბრუნდება.

ზანზიბარიდგან იუწყებიან, რომ 23 იანვარს ჰოვასელებმა სდომნებიათ ცეცხლით დამორჩილება ტატანარივისა. საფრანგეთის ერთს სამხედრო გემსა და ზღვის პირის ბატარეებს მალე შეუწყვეტინებიათ ჰავასელებისათვის ცეცხლი ფრანგებს ერთი ზარბაზანი წაურთმევიათ.

**შან-ჰაი.** როგორც ხმა ისმის, რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის პეკინსა და ტოკიოში მყოფთ ელჩებს დნვალებული აქვთ თურმე იაპონია და ჩინეთი შეარიგონ.

**„ივერიის" ფოსტა**

**ჯავ—ხეთი. ი. ა.** თქვენი ლექსი „ქართველ ქალებს" არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათანეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი.** დი აა.ქ 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

**დაზღვევი საზოგადოება**

# „იაკორი"

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აღანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 25 დაარსდა

**ახალი სასტუმრო**

„ბ ა ქ ო".

ოთახები სუფთად და რიგიანად არის მოწყობილი, ფასებიც შედარებით ნაკლებია. სისუფთავისა და მოსამსახურის ერთგულების თავდებია თვით სასტუმროს პატრონი:

მქვთიმე კვაჭაძე.

(3—849—1)

ფრანგულის ენის კარგად მცოდნე ქართველი ყმაწვილი კაცი ამზადებს მსურველთ. ადრესი „ივერიის" რედაქციაში. (4—6.—1)

არვის სტკივა მისთვის გული,
უიმედო ცრემლებს აფრქვევს
ცხოვრებისგან განწირული.
ჰფიქრობს: „შვილი, თუ სინათლე?
გულისა, თუ სულის წყლული?!...
ღმერთო! სად არს ან სიმართლე,
ან უკვდავი სიბრალული!
ეს თქვა, თავი ძირს დაჰხარა...
გულ-ამოსკვნით, მწარედ სტირსა...
ორთავ თვალი დაითხარა,
გარდააგდო ტბისა ძირსა!...
უსინათლოს, თვალ-სისხლიანს
ტბა მიაფრენს იქით მხარეს,
არვინ არ ჰყავს შემწე ღვთიანს,
გულს არავინ არ უხარებს...
მიდის, გზას ვერ აქცევინებს
ვერც ვაება და ვერც წყლული,
ყოველს ტანჯვას აძლევინებს
დედის წმიდა სიყვარული?...
გალმით დაჰხვდა დედაბერი,
სიკვდილისა ბალის მცველი;
რა მან ნახა მშვენიერი
თვალ-დათხრილი, ვერ მხედველი,—
გაუკვირდა მოსვლა მისი,
მიაძახა: „ვინა ხარო?
მავნე სული, საძრახისი,
თუ კეთილი, სანეტარო?"
— მე ვარ დედა, ნინას დედა,
თვალ დათხრილი, მომტირალი,
დღე და ღამე მწუხარედა,
ვით რომ გიჟი მარბინალი!
თურმე აქ ჰყავს სიკვდილსა ბნელს
ჩემი ნინა დამწყვდეული,
დედის ზრუნვას, მშობლის ალერსს

XI

უსამართლოდ მოკლებული;
ჩემი კვნესა ადის ცამდის,
მაგრამ არ სჩანს სამართალი!
მიმიყვანე მისს ბინამდის—
შეგეწევა ღვთისა ძალი!
„თუ რომ შენსა სიყმაწვილეს,
ეშხს, სიტურფეს, ძვირს სანახავს,
მითავაზებ—მაშინ, გრწამდეს,
ეღირსები შვილის ნახვას."
— მერე, როგორ და რაგვარად?
„ჰა, ამ წიგნზედ მოაწერე
ხელი, ჩქარა შენც ამ გვარად
და ნატვრით ზედ დაამღერე!"
და როდესაც დედაბერმა
სიყმაწვილე მიითვისა,
თვისის ბედით მადლიერმა
იწყო მღერა თავისთვისა;
გასაღები მოიტანა
ხარბ-სიკვდილის წალკოტისა
და ბრმა დედა შეიყვანა,
მოასვენა ვარდის ძირსა.
თან უთხრა მას: „როს სიკვდილი
დაბრუნდება, მოვა შინა,
თუ მაშინვე შენი შვილი
არ გაჩვენოს შენი ნინა—
მაშინ ამ ვარდს სტაცე ხელი
და დამტვრევა დაუპირე,
აუთრთოლე სული ბნელი
და არსება გაუგმირე:
ეგ ვარდია უცოდველი
და უმანკო ყრმისა სული,
თუ შეეხო მაგას ხელი—
თვით სიკვდილი განკიცხული,
შეიქნება... საშინელი
რისხვა ელის ცისაგანა,
თვით უსულო მთა და ველი
შეძრწუნდება მისგანა!...

XII

სიკვდილმა, რომ ანნა ნახა
მისს წალკოტში შემოსული,
მაშინ ღმერთად გამოსახა
დედის მსხვერპლი, გრძნობა, სული:
და როდესაც ბრმამ დასთვალა
გაჭირვება თვისი ყველა,—
აღარ ეყო სიკვდილს ძალა,
დაიჩოქა მისს წინ ნელა,
თაყვანი ჰსცა მისს ძლიერს სულს,
უკვდავებად ასახელა
და სიცოცხლით გაწამებულს
მან აღუთქვა ხსნა და შველა...
უთხრა: „ოდეს ჩემი ნავი
შავსა ტბაზედ მოსცურავდა,
ვნახე უცხო სანახავი
და, ჰა, ხელში ჩამივარდა.
აი, შენი ორი თვალი,
ჰსცან, სიკვდილი მათ გიბრუნებს,
მხედველობას-კი ღვთის ძალი
მოგცემს, შენზედ ცა იზრუნებს".
დაუბრუნა ორთავ თვალი,
მყის მიეცა მხედველობა,
იგრძნო ცისა სამართალი,
ღმერთს მიუძღვნა ლოცვით გრძნობა...
სიკვდილმა კვლავ უთხრა ანნას:
„წამო აქეთ! საკვირველსა
მე გაჩვენებ გამოცანას,
მეტად ძნელად ასახსნელსა;
თუ მის შემდეგ შენი ენა
მომთხოვს შვილსა წასაყვანად—
წაიყვანე... ღმერთმან ლხენა
მოგივლინოს მთად და ბარად"...
და რა უთხრა დედას ასე,
დაანახვა ორი წყარო,
ერთი იყო ტანჯვით სავსე
და მეორე სანეტარო;
ერთშიდა სჩნდა ცის ცხოვრება,
მეორეში—ამა სოფლის,
იქ—დიდება, ნეტარება,
აქ—წამება ჯოჯოხეთის...
დედა წყაროთ დააჩერდა,
მათ დაუწყო შედარება,
მას თვალთაგან გადმოსჩქეფდა
სულის მღრღნელი მწუხარება.
უთხრა სიკვდილს: „წაიყვანე,
მიუყვანე ღვთის-მშობელსა,
მისს კალთის ქვეშ აღუჩინე
ბინა ჩემს ქალს საყვარელსა;
ნუ აჩვენებ ნინას ნაღველს,
ნურცა კვნესას, ნურცა ცრემლსა,
ვერ აიტანს გულის დამწველს,
სულის სახმილს ჯოჯოხეთსა
და რადგანაც ეს სოფელი
ჯოჯოხეთი თურმე არი,
ამიღია შვილზედ ხელი,
აღარა მაქვს სანუკვარი...
მისს სანაცვლოდ მე დავრჩები
საკვნესად და სატანჯველად,
იმისს სახელს ვენაცვლები
მე სანთლად და საკმეველად,
რაც ვიტანჯე, ის არ კმარა,
სულ ვიტანჯო უნდა მარად,
ჩამკლას, რამაც გამამწარა
ჩემი ნინას გასახარად!..
წაიყვანე, გაუჩქარე,
არ მოსწყინდეს ჩემსა ნინოს,
დაუყენე გამდლად მთვარე,
როდესაც რომ დაეძინოს,
საბურთაოდ მიეცი მზე,
სასეირნოდ თვით სამოთხე
შესვი იგი ცელქ ნიავზე,
დაატარე ყველა კუთხე.
ია-ვარდით შემიმოსე,
გამიმხნევე ღვთის წყალობით,
ნორჩი გული უხალისე
ანგელოზთა ტკბილ გალობით,
რაც ინატროს—აღუსრულე,
ჩაიკარი დედებრ მკერდსა,
შეეტკბე და უერთგულე,
შეავედრე მამა-ღმერთსა!.."
სთქვა და თავში წაიშინა
გამობრუნდა სახლისკენა,
სიკვდილმა-კი ნორჩი ნინა
გააქანა ზეცისკენა.

გრ. აბაშიძე

Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Января 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.